



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N 69

2015 წლის 7 აგვისტო

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვისპირში სარწყავი ქსელის დაზიანებული ადგილების, სოფელ ბედონში და სოფელ ლაკათხევში მდინარის მარჯვენა სანაპიროზე მიწაყრილის მოწყობის, გზის გაწმენდის და სოფელ ბაზალეთში ე.წ. „ნათელაანთ უბნის“ სასმელი წყლით მომარაგების გასაუმჯობესებელი სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის წესით შესყიდვაზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვისპირში სარწყავი ქსელის დაზიანებული ადგილების, სოფელ ბედონში და სოფელ ლაკათხევში მდინარის მარჯვენა სანაპიროზე მიწაყრილის მოწყობის, გზის გაწმენდის და სოფელ ბაზალეთში ე.წ. „ნათელაანთ უბნის“ სასმელი წყლით მომარაგების გასაუმჯობესებელი სამუშაოების დროულად განხორციელება სასიცოცხლოდ აუცილებელია მოსახლეობისთვის, რადგან სოფელ არაგვისპირში დაზიანებულმა სარწყავი წყლის მილმა, დატბორა მოსახლეობის კუთვნილი მიწის ნაკვეთები. ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ძლიერი წვიმების შედეგად მდინარე „ხადის ხევმა“ დაშალა სოფლის დამცავი დამბა და შეცვალა კალაპოტი, ასევე მდინარე „ლაკათხევის ხევმა“ მოანგრია ჯებირი და დააზიანა სოფელში მიმავალი სამანქანე გზა, ხოლო სოფელ ბაზალეთის მოსახლეობის ნაწილი ვერ ღებულობს სასმელ წყალს.

შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას ზემოაღნიშნულ ობიექტებზე განსახორციელებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ,

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ არაგვისპირში სარწყავი ქსელის დაზიანებული ადგილების 3 044 (სამი ათას ორმოცდაოთხი) ლარის სარეაბილიტაციო, სოფელ ბედონში და სოფელ ლაკათხევში მდინარის მარჯვენა სანაპიროზე მიწაყრილის მოწყობის, გზის გაწმენდის 7 022 (შვიდი ათას ოცდაორი) ლარის ღირებულების და სოფელ

ბაზალეთში ე.წ. „ნათელაანთ უბნის“ სასმელი წყლით მომარაგების გასაუმჯობესებელი 4 906 (ოთხი ათას ცხრაას ექვსი) ლარის ღირებულების სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. განკარგულების შესახებ ეცნობოს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი